საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 20 00735309

23/03/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)
ბატონ **კონსტანტინე ღვინჯილიას**

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2020 წლის 20 მარტის N60-01200801908 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტში განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ამაღლების ქუჩა N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.088.004) სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 17 თებერვლის NMIA52000414450 და 2020 წლის 17 მარტის NMIA72000698773 წერილების საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, **შეესაბამება** სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული უნდა იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხი, რომელთა პროექტები **სამი თვის ვადაში** წარმოდგენილი უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად.

პატივისცემით,

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

